ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 348

ქალაქი ქუთაისი 27 იანვარი 2021 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის N 168 განკარგულებით მოწონებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019 – 2020 წლების გეგმით („LEDP“) 2020 წელს გათვალისწინებული შეუსრულებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქმიანობის 2021 წელს გაგრძელების შ ე ს ა ხ ე ბ

ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე:

მუხლი 1. გაგრძელდეს საქმიანობა 2021 წლის პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის N168 განკარგულებით მოწონებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019 – 2020 წლების გეგმით („LEDP“) 2020 წელს გათვალისწინებული შეუსრულებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დანართის შესაბამისად

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ~~ნაკოლია~~ ირაკლი შენგელია

4

28.01.21

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 27 იანვრის N 348 განკარგულების
დანართი

2021 წლის პერიოდში განსახორციელებელი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის N 168 განკარგულებით მოწონებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019 – 2020 წლების გეგმით („LEDP“) 2020 წელს გათვალისწინებული შეუსრულებელი ღონისძიებები

თემატური ბლოკები	მთავარი მიზნები	ქმედებები	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მონიტორინგის მაჩვენებლები/ მყისიერი შედეგების ინდიკატორები	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	1. საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება 2. ქალაქის ცნობადობის გაზრდა	1. იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობა	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; ააიპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია.“ **პარტნიორები:** იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია; ტურიზმის ეროვნული სააგენტო.	300 000 ლარი (75 000 ევრო)	**შედეგი:** შეიქმნება საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე მოქნილი და კონკურენტუნარიანი რეგიონალური პროდუქტები **ინდიკატორი:** შექმნილი ტურისტული პროდუქტის რაოდენობა	**შედეგი:** გაიზრდება საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა **ინდიკატორი:** ვიზიტორთა სტატისტიკური მაჩვენებლები (ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტისა და ტურიზმის რეგიონალური ცენტრის მონაცემები)
		2. ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიოს შექმნა	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა.	5 000 ლარი (1250 ევრო)	**შედეგი:** შესწავლილ იქნება ქალაქში საინვესტიციო უძრავი ქონება და ლოკაციები	**შედეგი:** მომზადდება საინვესტიციო წინადადებები არანაკლებ 10 ლოკაციაზე

			პარტნიორები: იმერეთის რეგიონული სავაჭრო სამრეწველო პალატა; „USAID“.		**ინდიკატორი:** შესწავლილი საინვესტიციო უძრავი ქონებისა და ლოკაციების რაოდენობა	**ინდიკატორი:** ბეჭვდური და ელექტრონული ვერსიის რაოდენობა
		3. საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება	**განმახორციელებელი:** ადგილობრივი თვითმმართველობა. **პარტნიორები:** საგარეო საქმეთა სამინისტრო; იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია; იმერეთის რეგიონული სავაჭრო სამრეწველო პალატა; თავისუფალი ინდუსტრიული ზონები. ადგილობრივი ბიზნეს სექტორი.	60 000 ლარი (15 000 ევრო)	**შედეგი:** ჩატარდება საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი **ინდიკატორი:** ფორუმში მონაწილეთა რაოდენობა	**შედეგი:** გაიზრდება ქალაქის ცნობადობა **ინდიკატორი:** მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა
		4. ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა – ბაზრობების ორგანიზება	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა. **პარტნიორები:** ადგილობრივი ბიზნესის სექტორი; იმერეთის რეგიონის სავაჭრო სამრეწველო პალატა.	11 000 ლარი (2750 ევრო)	**შედეგი:** ჩატარდება გამოფენა – ბაზრობები **ინდიკატორი:** ჩატარებული გამოფენა – ბაზრობების რაოდენობა	**შედეგი:** გაიზრდება ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობა **ინდიკატორი:** ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვების რაოდენობა
		5. სარეკლამო /საინფორმაციო ბილბორდების მოწყობა	**განმახორციელებელი:** ადგილობრივი ბიზნესის სექტორი. **პარტნიორები:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; სსიპ „აწარმოე საქართველოში“; იმერეთის რეგიონული სავაჭრო სამრეწველო	50 000 ლარი (12 500 ევრო)	**შედეგი:** ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვების ზრდისათვის მოეწყობა სარეკლამო/საინფორმაციო ბილბორდები **ინდიკატორი:** ბილბორდების რაოდენობა	**შედეგი:** გაიზრდება ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობა **ინდიკატორი:** ბილბორდებზე განთავსებული ბრენდს

			პალატა.			რეკლამის რაოდენობა
		6. ინტერ – მუნიციპალური პროექტი – ახალი ტურისტული ლოკაცია	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. **პარტნიორები:** ბიზნესის სექტორი.	300 000 ლარი (75 000 ევრო)	**შედეგი:** შემუშავდება ახალი ლოკაციის მოწყობის მიზანშეწონილობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა **ინდიკატორი:** სატენდერო დოკუმენტაცია; ტენდერის შედეგები	**შედეგი:** მოხდება დონორის/ პარტნიორის მოძიება **ინდიკატორი:** გაფორმებული ხელშეკრულება
უნარები და ადამიანური კაპიტალი ინკლუზიურობა წვდომა ფინანსებზე	ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული უნარების განვითარება	7. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა.	60 000 ლარი (15 000 ევრო)	**შედეგი:** გადამზადდება მრავალშვილიანი ოჯახები სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით **ინდიკატორი:** ჩატარებული ტრენინგებისა და მათში მონაწილეთა რაოდენობა	**შედეგი:** ხელი შეეწყობა მრავალშვილიან ოჯახებს მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყებაში **ინდიკატორი:** მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა
საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები	საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება	8. ელექტრომობილების პოპულარიზაციისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება	**განმახორციელებელი:** ადგილობრივი ბიზნესის სექტორი. **პარტნიორები:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; შპს პარკინსერვისი; ააიპ „ქუთგანათების სერვისი.“	50 000 ლარი (12 500 ევრო)	**შედეგი:** მოეწყობა ელექტრო დამტენი სადგურები და ელექტრომობილები სრულად განთავისუფლდება პარკირების გადასახადისაგან **ინდიკატორი:** ელექტრო დამტენი სადგურისა და მოსარგებლე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა	**შედეგი:** გაიზარდება მცირე და საშუალო ბიზნესში ელექტრო – მობილის გამოყენება **ინდიკატორი:** ელექტრო – მობილების რაოდენობა ბიზნესში
წვდომა ფინანსებზე	1. საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება.	9. ბიზნეს საქმიანობისთვის საკონსულტაციო სერვისის შექმნა	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; ბიზნესის სექტორი.	4 000 ლარი (1 000 ევრო)	**შედეგი:** შეიქმნება ბიზნეს საკონსულტაციო სერვისი	**შედეგი:** ამაღლდება მეწარმეობით დაინტერესებულ პირთა ცნობიერება

	2. ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული უნარების განვითარება	ეკონომიკური განვითარების განყოფილების ბაზაზე	**პარტნიორები:** სსიპ „აწარმოე საქართველოში“; იმერეთის რეგიონული სავაჭრო სამრეწველო პალატა.		**ინდიკატორი:** სერვისების თემატური ბლოკის რაოდენობა	დაფინანსების წყაროებზე **ინდიკატორი:** სერვისით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია